საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№155/15

„09“ ოქტომბერი 2015 წ.

ტექნიკური დასკვნა ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩა №29-ში, ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის ტერიტორიაზე, სასტუმროს მშენებლობის შესახებ.

ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, მარჯანიშვილის ქუჩა №29-ში, ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის ტერიტორიაზე, აკადემიის ხელმძღვანელობას დაგეგმილი აქვს თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.16.05.003.007)ი ჩაატაროს სარეკონსტრუქციო სამუშაოები. კერძოდ ჩოგბურთის დახურულ კორტთან, არსებული ორ სართულიანი ადმინისტრაციული ნაწილი დაიშლება და მის ნაცვლად აშენდება ექვსსართულიანი სასტუმრო კორპუსი. შენობის მზიდი კონსტრუქციული ნაწილი გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვან ვარიანტში. შენობის ორი სივრცული სექცია, რომლებიც ერთმანეთისაგან განცალკევებულია ანტისეისმური ნაკერით, გეგმაში Г-სებრი მოხაზულობისაა. ღერძებში „5“-„12“; „ე“-„ი“ ღერძებს შორის მისი გაბარიტული ზომებია l×b=36.56×10.0მ. ღერძებში „2“-„4“; „ა“-„ი“ ღერძებს შორის, l×b=32.0×10.75მ. ღერძებში „ა“-„დ“, „2“ ღერძის მარცხნივ გათვალისწინებულია სარდაფის მქონე ორ სართულიანი ნაგებობა აუზით. პირველ ნაწილში, შენობა უსარდაფოა, ხოლო მეორე და მესამე ნაწილს გააჩნია სარდაფი, სიმაღლით 330სმ. ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური დასკვნიდან გამომდინარე, შენობის სამივე ნაწილისათვის გამოყენებული იქნება ხიმინჯოვანი საძირკვლები, მონოლითური რკინაბეტონის როსტვერკზე. ხიმინჯები (დიამეტრით 100სმ.) დაეყრდნობა მაღალი მზიდუნარიანობის ძირითად ქანებს, ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობას. ამ თვალსაზრისით ხიმინჯების ტიპი იქნება დგარი და ნაგებობისმიერ წნევას გადასცემს უკუმშვად გრუნტებს. ჩოგბურთის დახურულ კორტი, განივკვეთში სეგმენტური მოხაზულობისაა. მისი მრუდი ნაწილი შედგენილია ფოლადის კონსტრუქციებით, რომლებიც დაყრდნობილია რკინაბეტონის ჩარჩოებზე. მრუდი მოხაზულობის გამო აღძრულ განმბრჯენ ძალოვან ფაქტორებს ითვისებს მონოლითური რკინაბეტონის დახრილი რიგელები. საპროექტო შენობის სვეტები ღერძებში „5“-„12“; „ე“-„ი“ ღერძებს შორის განაწილებულია იმგვარად, რომ არსებულ საყრდენ სვეტებთან შეხება ფაქტიურად არ გააჩნია.

შ.პ.ს. „მონოლითი“ გაცნობებთ, რომ სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება შესაძლებელია ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

შ.პ.ს. "მონოლითი"-ს დირექტორი. /გ. იამვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/